საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

ბრძანება № 01-01-06/14

01 04 2015 წ.

ქ.თბილისი

უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 12 ივნისის №2-96 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის" დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს უფლებამოსილება ნიმუშების რეგისტრაციისა და სტატისტიკური დამუშავების განყოფილების უფროსს მარინა სოსელიას მასზედ, რომ ხელი მოაწეროს სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიერ გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში გაწეულ მომსახურებებზე გასაფორმებელ მიღება-ჩაბარების აქტებს.

2. ამ ბრძანების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ს.ს.ი.პ. „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის" დირექტორის 2014 წლის 06 იანვრის №01-01-06/03 ბრძანება.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

4. ბრძანება ძალაშია 2015 წლის 01 აპრილიდან.

ლაბორატორიის დირექტორი ლალი მაძღარაშვილი